დანართი N1

დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის „მერმისი" დირექტორის
2019 წლის 12. 11. N 04-146 ბრძანებით
ცვლილება 2026 წლის 13 02. N 2026 004 ბრძანება

სსიპ - კოლეჯის „მერმისი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ - კოლეჯის „მერმისი" სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს და ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. აპლიკანტს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში „ცენტრი") მიერ ორგანიზებული ტესტირების ჩაბარების ან/და დაწესებულების მიერ ჩატარებული შერჩევის და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს მიიღოს პროფესიული განათლება.

2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე.

3. კოლეჯი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების გარდა, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს შეფასების დამატებითი მექანიზმები.

4. დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება:

ა) საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ბ) საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე;

გ) საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (შემდგომში - ინტეგრირებული პროგრამა);

დ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (შემდგომში - რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებული პროგრამა).

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შერჩევა წარიმართება კოლეჯის მიერ დადგენილი წესით, პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ

ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე, როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.

6. კოლეჯი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე, ანიჭებს მათ პროფესიული სტუდენტის სტატუსს და აფორმებს ხელშეკრულებას ამ აპლიკანტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან.

7. სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესში, დეტალურად რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით და პირობებით".

მუხლი 2. (ამოღებულია)

სსიპ - კოლეჯის „მერმისი" დირექტორის 2021 წლის 09 ივლისის N04-255 ბრძანება

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება კოლეჯსა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

1.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია პირადი განცხადება მიზეზის მითითებით. მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზნით სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი წერილობითი განცხადებით (მიზეზის მითითებით) მიმართავს კოლეჯის დირექტორს და ითხოვოს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას.

2.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

2.1[1]. მე-3 მუხლის 2.1 პუნქტით დადგენილი 5 წლიანი შეჩერების ვადა არ ვრცელდება იმ პროფესიულ სტუდენტებზე რომელთაც 2022 წლის 15 ნოემბრამდე შეუჩერდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საკითხს შეისწავლის კოლეჯის დირექტორის მოადგილე (სასწავლო დარგში) და გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამსახურებრივ ბარათს წარადგენს დირექტორის სახელზე. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რომელიც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ პირი სწავლას აგრძელებს იმ ეტაპიდან რა ეტაპზედაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუს შეჩერებული პირი/კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ წერილობით მიმართავს კოლეჯის დირექტორს.

6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხზე სამსახურებრივ ბარათს წარმოადგენს დირექტორის მოადგილე (სასწავლო დარგში) საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რომელიც აღნიშნულის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

7. კოლეჯის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე, ან როდესაც კოლეჯმა დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ან გაუვიდა ავტორიზაციის ვადა პროფესიული სტუდენტი მიიჩნევა სტატუს შეჩერებულ პირად.

მუხლი 4 . პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;

ბ) პროგრამის დასრულება და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღება;

გ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან კანონით დადგენილი ვადის გასვლა;

დ) იმ ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის გაყალბება, რაც საფუძვლად დაედო სტუდენტის სტატუსის მოპოვებას;

ე) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;

ვ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა;

ზ) გარდაცვალება;

თ) სწავლის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაგრძელება;

ი) მიმდინარე თვეში არასაპატიოდ გაცდენილი 50-ზე მეტი აკადემიური საათის დაგროვება;**(ძალაშია 18.12.2025-დან).**

კ)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების 30%-ზე მეტის არასაპატიოდ გაცდენა.

ლ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გამოყენება.

მ)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების 30%-ზე მეტის არასაპატიოდ გაცდენა. **(ძალაშია 18.12.2025-დან).**

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილი თანამშრომლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (გარდა „ა" პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლისა) რაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ი" , „კ" და „მ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კოლეჯი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას (წერილობითი ფორმით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით), მის მიერ დაგროვილი გაცდენილი საკონტაქტო საათების გამო მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს არ ათავისუფლებს იმ ფინანსური დავალიანების დაფარვისაგან, რომელიც მას წარმოეშვა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის ბრძანების გამოცემამდე. იგი ვალდებულია დაფაროს დავალიანება.

6. ფინანსური დავალიანების დაფარვისათვის თავის არიდების შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ზომები, მათ შორის მიმართოს სასამართლოს.".

მუხლი 5. მობილობა

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის (გარე მობილობა, შიდა მობილობა) უფლებით.

1.1. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გარდა მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არაუმეტეს 25 %-ით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას."

2. კოლეჯის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში დირექტორს წარუდგენს წინადადებას მობილობით პროფესიული სტუდენტების მისაღები ადგილების რაოდენობის განსაზღვრაზე, იმ მიმართულებებისა და პროგრამების მითითებით, რომელზეც მიზანშეწონილია სტუდენტთა მიღება. სტუდენტების მიღებისათვის თავისუფალი ადგილების რაოდენობა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

3. მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პროფესიული სტუდენტი, მიუხედავად იმისა შეჩერებული აქვს თუ არა მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

3[1]. კოლეჯისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან გაუქმების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის ისინიც, ვისაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში.

3[2]. კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის, ასევე ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის უფლებამონაცვლე განსაზღვრული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის, ისინიც, ვისაც ავტორიზაციის ვადის გასვლამდე ან ლიკვიდაციამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის ვადის გასვლიდან/ლიკვიდაციიდან 5 წლის განმავლობაში.

4. გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს მიმღებ დაწესებულებას, ხოლო შიდა მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს იმავე დაწესებულებას. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.

5. მობილობის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა შესაძლებელია გახდეს პირის მობილობის წესით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

6. მობილობის მსურველ პირთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორმა შესაძლებელია შექმნას კომისია. კომისიის მიერ განხილვის შედეგები ეცნობება დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.

7. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.

8. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

8.1. კოლეჯი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

9. იმავე ან ქვედა პროგრამის ფარგლებში მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე.

10. იმავე ან ქვედა მიმართულების სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში მობილობის შემთხვევაში სტუდენტის პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.

10.1. კოლეჯი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

ა) კოლეჯს არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

11. პროფესიული სტუდენტის მობილობის შემთხვევაში ვაუჩერული დაფინანსების გადატანის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებით "პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე".

12. კოლეჯი უფლებამოსილია სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:

ა) სწავლის მიმდინარეობისას ჯგუფში დარჩა სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და კოლეჯს არ ჰყავს ამავე სპეციალობაში სხვა ჯგუფი;

ბ) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

გ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

13. მობილობა დასაშვებია თუ არსებობს შემდეგი პირობების ერთობლიობა:

ა) დაცულია ამ მუხლით დადგენილი მობილობის ვადები;

ბ) არსებობს ადგილი იმ ჯგუფში, სადაც იგეგმება სტუდენტის მობილობის წესით გადაყვანა;

14. აღიარება ფორმდება დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში – იმავე დაწესებულების სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

15. სტუდენტის მობილობით გადაყვანა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

მუხლის 6. (ამოღებულია)

სსიპ - კოლეჯის „მერმისი" დირექტორის 2020 წლის 24 ივნისის N04-123 ბრძანება

მუხლი 7. მიღებული განათლების აღიარება

1. ფორმალური განათლების ფარგლებში, აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. მიღებული განათლების აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს წინმსწრები ფორმალური განათლების აღიარების გზით, რაც გამოიხატება მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით და შესაბამისი კრედიტების მინიჭებით.
3. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარებას კოლეჯი ახორციელებს შემდეგ შემთხვევაში:
ა) პროფესიული სტუდენტის შიდა ან გარე მობილობის შემთხვევაში;
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების/შეცვლის შემთხვევაში.
გ) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების შემთხვევაში.
4. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღარებისას შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შეიძლება დადგინდეს ერთი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სხვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებთან შესაბამისობა, მათი ფორმულირების მიუხედავად.
5. პროფესიული სტუდენტის მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასა და შესაბამისი კრედიტების მინიჭების მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება აღიარების კომისია.
6. კომისიის გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების აღიარების და შესაბამისი კრედიტების მინიჭებასთან დაკავშირებით ფორმდება კომისიის ოქმით, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.
7. პროგრამის კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებაში დეტალურად მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები სტუდენტის მიერ გავლილ პროგრამასა და კოლეჯის პროგრამას შორის.
8. პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების აღიარების და შესაბამისი კრედიტების მინიჭებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.
9. (ამოღებულია - სსიპ - კოლეჯის „მერმისი" დირექტორის 2020 წლის 20 ნოემბრის N04-322 ბრძანება).
10. (ამოღებულია - სსიპ - კოლეჯის „მერმისი" დირექტორის 2020 წლის 20 ნოემბრის N04-322 ბრძანება).
11. (ამოღებულია - სსიპ - კოლეჯის „მერმისი" დირექტორის 2020 წლის 20 ნოემბრის N04-322 ბრძანება).

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.
1.1 პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამი შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების/შეცვლის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია:
ა) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე დაწესებულებაში ალტერნატიულ/შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა;
ბ) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს იმ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანა, სადაც ხორციელდება იგივე პროგრამა.
გ) ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს.

მუხლი 9. სწავლის ხანგრძლივობა

1. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 3 წელს, ხოლო 2025 წლის და შემდგომი მიღების ჯგუფებისათვის სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 2 წელს.

3. სწავლის პერიოდი შესაძლებელია გახანგრძლივდეს, თუ:

ა) პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა;

ბ) ადგილი აქვს სხვა ობიექტურ გარემოებას.

მუხლი 10. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

2. მოდულში „პრაქტიკული პროექტი" პროფესიული სტუდენტი ფასდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ, რომლის ერთ-ერთ წევრად შეიძლება განისაზღვროს დამსაქმებელი.

3. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

4. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

5. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

5[1]. სწავლის შედეგის შეფასების მიზნით, შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს და ხელმოწერით ადასტურებს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

5[2]. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ხდება მოდულის ადაპტაციის ეტაპზე.

5[3]. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შემუშავდეს, კალენდარული გეგმით გათვალისწინებული, შედეგის შეფასების ჩატარებამდე. პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლის მიერ მოდულის კალენდარული გეგმის, რომელსაც ითანხმებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, შემუშავება ხდება მოდულის დაწყებამდე 10 სამუშაო დღით ადრე. უზუსტობის არსებობის შემთხვევაში კალენდარული გეგმა უბრუნდება მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგინოს შესწორებული კალენდარული გეგმა.

5[4]. შეფასების ინსტრუმენტი შემოწმებული უნდა იქნას ვალიდატორის მიერ წინამდებარე წესის მე-11 მუხლის შესაბამისად;

5[5]. ამოღებული სსიპ კოლეჯის „შერმისი" დირექტორის ბრძანება N636693(06/06/2025)

5[6]. სწავლის შედეგის დადასტურება/ვერ დადასტურებას შემფასებელი აღნიშნავს დადასტურების ველში, აწერს ხელს და შედეგს აფიქსირებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სწავლის შედეგის/შედეგების მიღწევის შეფასების უწყისის ფორმაში.

5[7]. შეფასების უწყისები სწავლის შედეგის/შედეგების დადასტურებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში გადაეცემა სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს მათ რეგისტრაციას და სათანადო შენახვას.

5[8]. სწავლის შედეგის/შედეგების დადასტურების მტკიცებულებები, მოდულის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში გადაეცემა კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს მათ აღრიცხვასა და შენახვას.

6. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან არ გამოცხადების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ.

6[1]. დამატებითი შეფასებისას პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში მასწავლებელი აფორმებს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების დამატებით უწყისს, რომელიც 3 სამუშაო დღის ვადაში გადაეცემა სასწავლო პროცესის მენეჯერს. მენეჯერი უზრუნველყოფს უწყისის რეგისტრაციასა და სათანადო შენახვას.

6[2]. მოდულის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში მასწავლებელი აფორმებს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების შემაჯამებელ უწყისს, რომელსაც აბარებს სასწავლო პროცესის მენეჯერს. სასწავლო პროცესის მენეჯერი ამოწმებს შემაჯამებელ უწყისში შეტანილი ინფორმაციის სისწორეს, რასაც ხელმოწერით ადასტურებენ მასწავლებელი და სასწავლო პროცესის მენეჯერი. შემაჯამებელი უწყისის რეგისტრაციაში გატარებას და სათანადო შენახვას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მენეჯერი.

7. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან არ გამოცხადების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებულ დროს გამოცხადდეს შედეგის დამატებით შეფასებაზე.

7[1]. „პრაქტიკული პროექტის" მოდულის სწავლის შედეგებში უარყოფითი შედეგის მიღების ან არ გამოცხადების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს 1 თვის ვადაში წერილობითი განცხადებით მიმართოს კოლეჯს და ითხოვოს სწავლის შედეგების დამატებითი შეფასება. აღნიშნულ ვადაში განცხადების წარმოუდგენლობის შემთხვევაში სტუდენტს სასწავლო პროცესის მენეჯერის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

7[2]. განმსაზღვრელი შეფასებისას სტუდენტის არ გამოცხადების შემთხვევაში, მასწავლებელი უფლებამოსილია განმეორებითი შეფასებისას გამოიყენოს შეფასების იგივე ინსტრუმენტი.

7[3]. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, მასწავლებელი უფლებამოსილია დამატებითი შეფასების ჩატარებისას შეფასების ინსტრუმენტში განახორციელოს ცვლილებები, მაგალითად, წერილობითი გამოკითხვის (ტესტი) შემთხვევაში შეცვალოს დახურული ტესტი, კითხვის ფორმულირება, დახურულ ტესტში კითხვების თანმიმდევრობა (დაზეპირების თავიდან აცილების მიზნით).

8. მოდულის (რომელიც არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას) სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს საშუალება ეძლევა არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებით დაადასტუროს სწავლის შედეგი. იმ მოდულის სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაადასტუროს აღნიშნული სწავლის შედეგი შესაბამისი მოდულის დაწყებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა 8[1] პუნქტით განსაზღვრული უფლება.

8[1]. თუ დამატებითი შეფასებისას სტუდენტმა ვერ დაადასტურა იმ მოდულის სწავლის შედეგები, რომელიც სხვა მოდულის დაშვების წინაპირობას წარმოადგენს, მას უფლება აქვს გაიაროს პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვა მოდულები (წინაპირობების გარეშე). ასეთ შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია გააგრძელოს სწავლა და მიიღოს სერტიფიკატი კონკრეტულ მოდულზე. სტუდენტებისათვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ეკისრება სასწავლო პროცესის მენეჯერს.

8[2]. იმ შემთხვევაში თუ ამ მუხლის მერვე პუნქტით განსაზღვრული 30 კალენდარული დღის ვადა ემთხვევა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ არდადეგების პერიოდს, ვადის ათვლა შეჩერდება არდადეგების პერიოდში და განახლდება მისი დასრულებისთანავე.

9. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სსსმ პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები პროგრამაზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/ წინაპირობების დაძლევის გარეშე.

9[1]. პროფესიული სტუდენტი, რომელიც სწავლობს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (სამუშაოზე დაფუძნებული დუალური სწავლება), კვალიფიკაციის მინიჭებისათვის ვალდებულია ჩააბაროს შუალედური შეფასება და საკვალიფიკაციო გამოცდა.

9². დუალური სწავლებისას პროფესიული სტუდენტის შუალედურ გამოცდაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სტუდენტის მიერ შევსებული ჩანაწერების ჟურნალი, რომელიც დადასტურებულია ინსტრუქტორის მიერ. შუალედური შეფასება ტარდება სწავლების პირველი წლის ბოლოს, პრაქტიკული და თეორიული გამოცდის ფორმით.

9³. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

10. სტუდენტის შეფასების მიმართულებები და მტკიცებულებების ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

10¹. საკვალიფიკაციო გამოცდის ოქმი ხელმოწერიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა გადაეცემა სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც ახორციელებს მის რეგისტრაციას და სათანადო შენახვას.

11. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით, რომლებიც შეფასების უწყისის საფუძველია. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ინფორმაცია/მტკიცებულებები შენახული უნდა იქნას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის ვადით სასწავლო პროცესის მენეჯერთან.

11¹. (ამოღებულია - სსიპ - კოლეჯის „მერმისი" დირექტორის 2025 წლის 31 მარტის N04-74 ბრძანება).

12. აუცილებელი არაა ყველა სწავლის შედეგი ცალ-ცალკე შეფასდეს. შესაძლებელია შეფასდეს რამდენიმე სწავლის შედეგი ერთდროულად ან ყველა ერთად - მოდულის ბოლოს. აღნიშნული უნდა აღიწეროს მოდულის მესამე დამხმარე ჩანაწერების, 3.1. „მიდგომები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის" ნაწილში.

13. (ამოღებულია - სსიპ - კოლეჯის „მერმისი" დირექტორის 2022 წლის 03 ნოემბრის N04-283 ბრძანება).

მუხლი 10¹. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგის დადასტურება

1. წინამდებარე მუხლი ადგენს იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების პროცედურას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

2. ინტეგრირებული ზოგადი მოდულები ეს არის „საშუალო პროფესიულ პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს 170/ნ ბრძანებით გათვალისწინებული ინტეგრირებული მოდულები.

3. საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების ფორმალურ დამოწმებას.

4. ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

მუხლი 10². ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება

1. ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის პროგრესის შეფასებისას გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. ამასთან, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში გამოიყენება არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება.

2. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევას ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

3. განმავითარებელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გამოიყენება პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერისათვის.

4. პროფესიული სტუდენტი ფასდება შეფასების ტაქსონომიის გამოყენებით თითოეული თემის კონტექსტში და სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

5. **თემა** წარმოადგენს ინტეგრირებული ზოგადი მოდულის შემადგენელ სტრუქტურულ ერთეულს, რომლის ფარგლებშიც, კომპლექსური დავალების საშუალებით ხდება სწავლის ყველა შედეგზე მუშაობა.

4. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების **შეფასების ტაქსონომია,** ეს არის შეფასების ჰოლისტური რუბრიკა, რომლის საშუალებითაც ხდება პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება.

5. **კომპლექსური დავალება** შემოქმედებითი პროდუქტია, რომლის საშუალებითაც წარმოჩინდება პროფესიული სტუდენტის მიღწევები ინტეგრირებული ზოგადი მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგთან/შედეგებთან მიმართებით.

6. ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი ერთსა და იმავე სწავლის შედეგთან მიმართებით რამდენიმე კომპლექსურ დავალებას ასრულებს. თითოეული თემის ფარგლებში სავალდებულოა ყველა სწავლის შედეგზე მუშაობა (კომპლექსური დავალებების საშუალებით).

7. შეფასებისას, სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალების გამოყენება. დასაშვებია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთი კომპლექსური დავალებით შეფასება.

8. კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა ეფუძნება ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომიას.

9. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების მიზნებისათვის პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შეფასების კონვერტაცია პროფესიული მასწავლებლის მიერ ხდება მოდულის დასრულებისთანავე ათქულიანი სისტემით, ოთხი დონის მიხედვით.

10. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების მიზნებისათვის გამოიყენება:

ა) მოდულის ქულა - პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მიღწევების დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება;

ბ) საფეხურის ქულა - პროგრამაში ინტეგრირებულ ზოგად მოდულებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული; საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

11. მიმართვის შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს, მიმართვიდან არაუგვიანეს 30 კალენდარულ დღეში, დადგენილი წესის შესაბამისად გასცეს ცნობა პროფესიული სტუდენტის ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში აკადემიური მიღწევების ამსახველი დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების შესახებ.

მუხლი 10[1]. პროფესიული სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიო

1. პროფესიული სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიო (შემდგომში – პორტფოლიო) არის პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს სტუდენტის მიღწევების ამსახველ მასალებს, ორგანიზებულს კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო თემების მიხედვით;

2. დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს პორტფოლიოს სრულფასოვნად შევსებისათვის აუცილებელი აქტივობების განხორციელება;

2[1]. ზოგადი ინტეგრირებული მოდულის მასწავლებელი ვალდებულია სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგინოს სტუდენტის მიერ შესრულებული პრაქტიკული დავალების შეფასების ფორმა დავალების ჩაბარებიდან 1 კვირის ვადაში. უწყისში სტუდენტის მიერ შესრულებული პრაქტიკული დავალების შეფასება ასახული უნდა იყოს ჰოლისტური რუბრიკით და დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასებით - ქულებით (ცხრილი 1).

3. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ვერ/არ ჩააბარა მასწავლებელს პრაქტიკული დავალება, სტუდენტს უფლება აქვს ზოგადი ინტეგრირებული მოდულით განსაზღვრული პრაქტიკული დავალებისათვის გამოყოფილი საათების დასრულებიდან 1 თვის ვადაში, დამატებითი შეფასების მიზნით, მასწავლებელთან შეთანხმებულ დროს, ჩააბაროს პრაქტიკული დავალება.

4. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, კომპლექსური დავალების შეფასებიდან დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ვადაში, პორტფოლიოში ასახოს სტუდენტის პროგრესის ამსახველი მტკიცებულებები.

5. პორტფოლიოში პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. 5 წლის გასვლის შემდეგ დაარქივებული მონაცემები ავტომატურად იშლება.

6. პორტფოლიო შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

ა) პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი ან პასპორტის ნომერი (არსებობის შემთხვევაში);

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;

გ) ინტეგრირებული მოდულის სახელწოდება;

დ) თემის დასახელება;

ე) კომპლექსური დავალების შინაარსი და ნომერი;

ვ) პროფესიული სტუდენტის მიერ კომპლექსური დავალების შესრულების მტკიცებულება;

ზ) პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასება და მიცემული უკუკავშირი;

თ) კომპლექსური დავალების მიცემის, შესრულების და პორტფოლიოში მისი განთავსების თარიღები.

6[1]. პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოს ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირია ინტეგრირებული პროგრამის შესაბამისი ზოგადი ინტეგრირებული მოდულის მასწავლებელი, ხოლო მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირია - ხარისხის მართვის სპეციალისტი.

7. ინტეგრირებული ზოგადი მოდული დაძლეულად ჩაითვლება, თუ ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მიღწეულია.

8. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული ყველა პრაქტიკული დავალება შეფასებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ და მათგან მინიმუმ ერთი შეფასებულია მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე (ცხრილი №1).

ცხრილი N1

არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება	დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება		
	ქულები	შეფასების დონეები	შეფასების დონეების აღწერა
აბსტრაქტული დონე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ბაზისური ცნებების სტრუქტურის განზოგადება და აღქმა სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვიდან; იდეების გადატანა ახალ კონტექსტში; ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკული გაანალიზება ან თეორიის ჩამოყალიბება.	აბსტრაქტული დონე გათანაბრებულია განმსაზღვრელი შეფასების სკალის უმაღლეს ქულასთან - 10.		
მიმართებითი დონე პროფესიული სტუდენტი საკითხზე/ საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/ საკითხების შინაარსზე	10	მაღალი	პროფესიული სტუდენტი საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსზე დაფუძნებით
	9		

დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.			დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.
პროფესიული სტუდენტი საკითხზე/ საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.	8 7	საშუალოზე მაღალი	პროფესიული სტუდენტი საკითხზე/ საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.
პროფესიული სტუდენტი მსჯელობს საკითხზე/საკითხებზე, თუმცა აქვს ხარვეზებისასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.	6 5	საშუალო	პროფესიული სტუდენტი მსჯელობს საკითხზე/საკითხებზე, თუმცა აქვს ხარვეზებისასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.
მულტისტრუქტურული დონე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული რამდენიმე ასპექტის გამოკვეთა განცალკევებით; მათ შორის კავშირისა და მიმართების ჩვენების გარეშე.	4 3		
უნისტრუქტურული დონე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა; მარტივი ზედაპირული კავშირების დამყარება.	2	დაბალი	პროფესიული სტუდენტის მსჯელობა საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.
პრექსტუქტურული დონე პროფესიული სტუდენტი საკითხებზე მსჯელობისას იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.	1		

მუხლი 10[4]. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასება

1. შუალედური შეფასება, როგორც განმავითარებელი შეფასება, ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ და გამოიყენება

როგორც პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერისათვის, ასევე პროგრამის შემდგომი სრულყოფისთვის.

2. შუალედური შეფასების მიზანს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების დონის დადგენა. შუალედური შეფასების საგანია პროფესიული ცოდნა, უნარები/კომპეტენციები, რომლის შინაარსიც ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ მოდულებს.

3. შუალედური შეფასების თემატიკა მოიცავს შეფასების მომენტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების დასრულებულ სწავლის შედეგებს;

4. შუალედური შეფასება ჩატარდება პროგრამაზე სწავლების შუა პერიოდში, როცა პროფესიულ სტუდენტს გავლილი ექნება მოდულების შესაბამისი სწავლის შედეგების არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60% (მოდულების შესაბამისი კრედიტების მოცულობის არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60%). შუალედური შეფასების პერიოდი განისაზღვრება კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით;

5. შუალედური შეფასების ფარგლებში გამოიყენება დიფერენცირებული (ქულობრივი) ან/და არადიფერენცირებული (დადასტურდა/ვერ დადასტურდა) შეფასება, რომელიც განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით კონკრეტული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;

6. შუალედური შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს ცალკ ცალკე თეორიული და პრაქტიკული ნაწილის ან კომპლექსური პრაქტიკული დავალების, ან მიმდინარე პროექტის ან პორტფოლიოს პრეზენტაციის ან სხვა შეფასების სახით შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით ;

7. შუალედური შეფასების თეორიული და პრაქტიკული ნაწილის ან კომპლექსური დავალებების დასრულებული ან მიმდინარე პროექტის ან პორტფოლიოს პრეზენტაციის ან შეფასების სხვა სახის შერჩევას, შუალედური შეფასების კრიტერიუმებსა და შესაბამისი დროის განსაზღვრას, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით კოორდინირებას უწევს სასწავლო პროცესის მენეჯერი თავისი საკურატორი სფეროს ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელისა და მასწავლებლების ჩართულობით.

8. შუალედური შეფასებისათვის პროფესიულ სტუდენტთა სიების ფორმირებას, შეფასების თარიღის დადგენას და სტუდენტების ინფორმირებას სატელეფონო შეტყობინების ან ელ. ფოსტის მეშვეობით შუალედურ შეფასებამდე 10 სამუშაო დღით ადრე ახდენს სასწავლო პროცესის მენეჯერი თავის საკურატორო სფეროში შემავალი პროგრამების ფარგლებში;

9. სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ წარდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივ აქტს კონკრეტული პროგრამის შუალედური შეფასების შესახებ.

მუხლი 10[2]. შუალედური შეფასების კომისია

1. **კონკრეტული პროგრამის ფარგლებში შუალედური შეფასების კომისია იქმნება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.**

2. **დაწესებულების მიერ დამტკიცებული შუალედური შეფასების კომისიის ამ მუხლით განსაზღვრული საქმიანობის წესი გამორიცხავს მხოლოდ დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.**

3. შუალედური შეფასების კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან: კომისიის თავმჯდომარის, მდივნისა და წევრებისაგან. კომისია შესაძლებელია დაკომპლექტდეს კოლეჯის ადმინისტრაციის, პროგრამის შესაბამისი პარტნიორი ორგანიზაციების და დარგობრივი ასოციაციების ან/და დარგის ექსპერტების ან/და განათლების ექსპერტების ან/და სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლებისაგან და სხვ.

4. შუალედური შეფასების კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.

5. შუალედური შეფასების კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6. შუალედური შეფასების კომისიის წევრი უფლებამოსილია მისი განსხვავებული მოსაზრება წერილობით დაურთოს ოქმს.

მუხლი 10[6]. შუალედური შეფასების პროცესი

1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, დროულად გამოცხადდეს შუალედურ შეფასებაზე, გაიაროს რეგისტრაცია და მონაწილეობა მიიღოს შეფასების პროცესში.
2. პროფესიულმა სტუდენტმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. შუალედური შეფასების პროცედურაზე გამოცხადებულ პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაცია იწყება შუალედური შეფასების დაწყებამდე 30 წუთით ადრე.
4. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ გაივლის ამ მუხლით გათვალისწინებულ რეგისტრაციას, არ დაიშვება შეფასების პროცესზე.
5. შუალედური შეფასების პროცესზე, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, თან იქონიოს წყალი, პირადი ჰიგიენის ნივთები. შუალედური შეფასების კომისია პროფესიული სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ნებას დართავს მას, გამოიყენოს სხვა ნივთები, რომელიც აუცილებელია პროფესიული სტუდენტისთვის.
6. შეფასების პროცედურაზე, პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება ნებადართული ნივთების გარდა სხვა საგნების გამოყენება.
7. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაიცვას წესრიგი შეფასების პროცესის დროს. აკრძალულია პროფესიული სტუდენტისთვის გამოყოფილი ადგილის უნებართვოდ დატოვება, გადალაპარაკება, ხმაური ან შეფასების პროცესისთვის სხვაგვარად ხელის შეშლა.
8. ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების უხეშად დარღვევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი დატოვებს შეფასების პროცესს და მისი შეფასების ქულა განისაზღვრება ნულით დიფერენცირებული შეფასების შემთხვევაში, ხოლო არადიფერენცირებული შეფასების შემთხვევაში შუალედური შეფასება არ დაუდასტურდება;
9. შუალედური შეფასების პროცესს შესაძლებელია დაესწრონ დამკვირვებლები კოლეჯის ადმინისტრაციიდან (სამი წევრი).

მუხლი 10[7]. დამატებითი შუალედური შეფასება

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, აღადგინოს შუალედური შეფასება, რომელზეც არ გამოცხადდა საპატიო მიზეზით. ამისთვის ის დასაბუთებული განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ, არაუგვიანეს შუალედური შეფასების თარიღიდან 2 სამუშაო დღისა და წარუდგენს მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს შესაბამისი საპატიო მიზეზის არსებობას.
2. საპატიო მიზეზი, რომელიც პროფესიულ სტუდენტს აძლევს შუალედური შეფასების დამატებით ჩაბარების უფლებას, არის ავადმყოფობა, ახლო ნათესავის (მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, ბაბუა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი) გარდაცვალება, ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც პროფესიული სტუდენტისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროფესიული სტუდენტის შუალედურ შეფასებაზე გამოცხადებას.
3. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს შუალედურ შეფასებაზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

4. დამატებითი შუალედური შეფასება უნდა ჩატარდეს შუალედური შეფასების დასრულებიდან 30 დღის ვადაში.

მუხლი 11. ვალიდაციის და ვერიფიკაციის მექანიზმები

1. ვალიდაცია ხორციელდება შემდეგნაირად:

ა) შეფასების პროცესამდე 10 სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს;

ბ) სასწავლო პროცესის მენეჯერი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური ნაწილის, ხოლო შესაბამისი მიმართულების სპეციალისტი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას.

გ) შეფასების ინსტრუმენტის ავტორი ან/და შემფასებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი არ შეიძლება იყოს ამავე ინსტრუმენტის ვალიდატორი;

დ) ხარვეზების არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით, შენიშვნებითა და მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია სამი სამუშაო დღის ვადაში კორექტირებული შეფასების ინსტრუმენტი წარუდგინოს სასწავლო პროცესის მენეჯერს;

ე) სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებული, ხელმოწერილი შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიული სტუდენტების შეფასების მიზნით.

2. სასწავლო პროცესის/მოდულის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში სასწავლო აუდიტორიაში/სახელოსნოში პროფესიული მასწავლებელი შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მიზნით განათავსებს ინფორმაციას მიმდინარე მოდულების სწავლის შედეგების დადასტურების თარიღების შესახებ (კვირების გათვალისწინებით).

3. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების და ვალიდაციის შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტებს შეფასების პირობების, დროის, გარემოს და სხვა გარემოებების შესახებ.

4. ვერიფიკაცია არის ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი. ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი.

5. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების დაგეგმვის, შეფასების პროცესისა და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვინაიდან ყველა შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია შეუძლებელია, ხარისხის მართვის მენეჯერი, შერჩევით (რისკ ფაქტორების გათვალისწინებით) გეგმავს ვერიფიკაციის პროცესს. რისკ ფაქტორებად განიხილება: დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი; პრაქტიკული დავალებების სიმრავლე; ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა; საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება; სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით); პროგრამის პირველად განხორციელების (დანერგვის) ფაქტორი; ასევე სხვა გარემოებების მიერ განპირობებული რისკები. პირველ ეტაპზე მოხდება იმ შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, რომლებიც მიჩნეულნი არიან მაღალი რისკის, მეორე ეტაპზე - საშუალო რისკის და მესამე ეტაპზე - დაბალი რისკის მქონედ.

6. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკატორი (განათლების, დარგის), რომელიც შესაძლოა იყოს იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციის წარმომადგენელი ან სხვა დაწესებულების მასწავლებელი.

7. ვერიფიკაციის ჯგუფი ვერიფიკაციის პროცესის დასრულების შემდეგ ადგენს ვერიფიკაციის დასკვნას, რომელსაც ხარისხის მართვის მენეჯერი წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

8. ვერიფიკაციის დასკვნის შედეგების შესაბამისად, საჭიროებისამებრ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავდება რეკომენდაციები მაკორექტირებელი ღონისძიებების სახით.

მუხლი 11[1]. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგის დადასტურება

1. პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წინაპირობაა თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევა.

2. პორტფოლიოში წარმოდგენილი სტუდენტების მიღწევების ამსახველი მტკიცებულებების განხილვის და მისი ვერიფიკაციის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისია (შემდგომში დადასტურების კომისია) ადგენს, რამდენად მოხდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

ა) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება;

ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევის ვერ დადასტურება;

3. პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დადასტურდება, თუ პორტფოლიოში წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი ყველა ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4. დადასტურების კომისიის მიერ გაკეთებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 11[2]. დადასტურების კომისია

1. კონკრეტული პროგრამის ფარგლებში ზოგადი ინტეგრირებული მოდულების სწავლის შედეგების დადასტურების კომისია იქმნება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. დაწესებულების მიერ დამტკიცებული კომისიის ამ მუხლით განსაზღვრული საქმიანობის წესი გამორიცხავს მხოლოდ დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას."დადასტურების კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან: კომისიის თავმჯდომარის, მდივნისა და წევრებისაგან. კომისია შესაძლებელია დაკომპლექტებულ იქნას კოლეჯის ადმინისტრაციის, ზოგადი მოდულის მასწავლებლის, სხვა კოლეჯის ინტეგრირებული მოდულის მასწავლებლის, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლისაგან და სხვ.

3. დადასტურების კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.

4. დადასტურების კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

5. დადასტურების კომისიის წევრი უფლებამოსილია მისი განსხვავებული მოსაზრება წერილობით დაურთოს ოქმს.

6. დაწესებულება უზრუნველყოფს დადასტურების კომისიის მიერ ვერიფიკაციის პროცესის სრულფასოვანი განხორციელების ხელშეწყობას.

მუხლი 11[3]. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება

ინფორმაციას ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტს აწვდის ინტეგრირებული პროგრამების სასწავლო პროცესის მენეჯერი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების (ელ. ფოსტა, მოკლე ტექსტური შეტყობინება, სოციალური ქსელი და სხვ.) ან პირისპირ კომუნიკაციის მეშვეობით, სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლის 12. (ამოღებულია)

სსიპ - კოლეჯის „მერმისი" დირექტორის 2020 წლის 24 ივნისის N04-123 ბრძანება

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების პროცედურა

1. მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების არასამართლიანად მიჩნევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების უფლებით;
2. მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების მიზნით, პროფესიული სტუდენტი წერილობითი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს შეფასების/შედეგის დადასტურების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში და ითხოვს მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების გადასინჯვას;
3. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში უზრუნველყოფს სტუდენტის ნაშრომის განხილვას პროფესიული მასწავლებელის და პროფესიული სტუდენტის მონაწილეობით;
4. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შედეგის გაპროტესტების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა, უფლებამოსილია პროფესიული სტუდენტის შეფასება შეცვალოს (პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ) ან დატოვოს ძალაში, თუ პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილი საჩივარი უსაფუძვლო ან დაუსაბუთებელია.
5. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, დირექტორის მოადგილესთან სასწავლო დარგში შეთანხმებით, შესაძლოა შემფასებლად გამოყოფილ იქნას კოლეჯის შესაბამისი დარგის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი, სხვა შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე.
6. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარე კოლეჯის დირექტორს წარუდგენს სამსახურებრივ ბარათის პროფესიული სტუდენტის შეფასების კორექტირების თაობაზე შესაბამის უწყისში.
7. კოლეჯის დირექტორი კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ მასალებს უგზავნის სასწავლო პროცესის მენეჯერს საჭირო ღონისძიებების გატარების მიზნით.

მუხლი 14. კვალიფიკაციის მინიჭება

1. კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გაიცემა მისი დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი.

1[1]. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიულ სტუდენტს ენიჭება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომი,ხოლო 2025 წლის 24 ივნისიდან, იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიულ სტუდენტს ენიჭება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დიპლომი.

1[2] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ანგარიშს სასწავლო გეგმის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ და იმ პროფესიული სტუდენტების სიას, რომლებმაც დაასრულეს პროგრამა და არიან კვალიფიკაციის მინიჭების კანდიდატები.

2. პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ზოგადი, საერთო პროფესიული, პროფესიული, არჩევითი (პროგრამაში ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ზოგადი ინტეგრირებული (იმ პროგრამისათვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) მოდულებით განსაზღვრული კრედიტები და მონაწილეობა მიიღოს შუალედური შეფასებაში.

2[1]. ამოღებულია - სსიპ - კოლეჯის „მერმისი" დირექტორის 2025 წლის 02 ივლისის N799027 ბრძანება.

2[2]. ამოღებულია - სსიპ - კოლეჯის „მერმისი" დირექტორის 2025 წლის 02 ივლისის N799027 ბრძანება.

2[3]. იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე, რომლებიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, გარდა ინტეგრირებული პროგრამებისა.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს შუალედური შეფასება და საკვალიფიკაციო გამოცდა. შუალედურ შეფასებასა და საკვალიფიკაციო გამოცდაზე პროფესიული სტუდენტის დაშვების დამატებით წინაპირობას წარმოადგენს სრულფასოვნად შევსებული პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი.

4. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით შექმნილი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებში მიღებული შედეგების საფუძველზე;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებში მიღებული შედეგებისა და საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული შეფასების საფუძველზე;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მოდულებში მიღებული შედეგების და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

5. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია თავის გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ ასახავს ოქმში.

მუხლი 15. სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. კოლეჯში ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი ცხრილით.

2. პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში.

3. სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილი დგება პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით და სწავლის დაწყებისთანავე განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

4. სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილს ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელსაც ითანხმებს კოლეჯის დირექტორის მოადგილე და ბეჭდით ამოწმებს კოლეჯის დირექტორი.

5. სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილის ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება სასწავლო პროცესის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე;

6. კოლეჯში დაწესებულია ხუთ დღიანი სასწავლო კვირა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე შაბათი და კვირა, როგორც სასწავლო დღე.

7. სწავლის დაწყების დრო განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ბრძანებით. ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ხანგძლივობა შეადგენს ერთ ასტრონომიულ საათს (აკადემიური საათი - 50 წუთი, შესვენება 10 წუთი).

8. პროფესიულ სტუდენტთა დასწრების აღრიცხვის მიზნით კოლეჯში მოქმედებს აღრიცხვიანობისა და შეფასების ელექტრონული ჟურნალი. სტუდენტთა დასწრებისა და შეფასების აღრიცხვის მატერიალური ჟურნალის არსებობის შემთხვევაში, ჟურნალი ინახება სამასწავლებლოში. ჟურნალს მეცადინეობის დაწყებამდე იღებს შესაბამისი საგნის/მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც აწარმოებს სტუდენტთა დასწრებისა და შეფასების აღრიცხვას. ჟურნალის (ელექტრონული/მატერიალური) მეთვალყურეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება კოლეჯის შესაბამის პასუხისმგებელ თანამშრომელს (სასწავლო პროცესის მენეჯერს). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური პროგრამა), პროფესიული სტუდენტის საწარმოში გამოცხადება დასტურდება პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალით.

9.პროფესიულ სტუდენტთა სწავლისა და დასვენების დრო განისაზღვრება ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილით.

9.1. ერთსა და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურ ჯგუფებში პროფესიული სტუდენტების რაოდენობის მკვეთრი შემცირების შემთხვევაში, კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტთა თანხმობის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება ჯგუფების გაერთიანების შესახებ.

10. პროფესიული სტუდენტები ისვენებენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით" გათვალისწინებულ უქმე და დასვენების დღეებში.

11. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კოლეჯის შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის ჩიხი №9ა. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით მიმდინარეობს იმავე ან სხვა ადგილას.

მუხლი 15[1]. სასწავლო პროცესის ორგანიზება სასწავლო პროცესის ონლაინ/დისტანციური სწავლების ფორმით განხორციელებისას

1. სასწავლო პროცესის ონლაინ/დისტანციური სწავლების ფორმით განხორციელებისას კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები სასწავლო პროცესის წარმართვას, სალექციო პროცესის ჩაწერას და შენახვას ახორციელებენ Microsoft Teams-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით.

2. სასწავლო პროცესის ონლაინ/დისტანციურ რეჟიმში წარმართვა, პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ხორციელდება სასწავლო ცხრილით განსაზღვრულ დროს.

3. ონლაინ/დისტანციურ რეჟიმში მიმდინარე სასწავლო პროცესს შესაძლებელია ასევე დაესწროს კოლეჯის ადმინისტრაციის უფლებამოსილი წარმომადგენლები.
4. ონლაინ/დისტანციურ რეჟიმში ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ხანგრძლივობა შეადგენს ერთ ასტრონომიულ საათს (აკადემიური საათი - 45 წუთი, შესვენება - 15 წუთი).
5. პროფესიულ სტუდენტთა ლექციებზე დასწრების აღრიცხვა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმით.
6. ონლაინ/დისტანციურ რეჟიმში სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რეგულირდება ამ წესის მე-15 მუხლით.
7. შესაძლებელია სწავლის შედეგების დადასტურება მოხდეს ონლაინ/დისტანციურ რეჟიმში.

მუხლი 15². პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზება

1. პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვის ეტაპზე ხორციელდება:
ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ხდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული პრაქტიკული კომპონენტის იდენტიფიცირება. პრაქტიკული კომპონენტი შესაძლებელია მოიცავდეს გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიის ჩატარებას ან/და სწავლის შედეგის მიღწევას ან/და საწარმოო პრაქტიკის გავლას. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე პრაქტიკული კომპონენტში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ან კურსდამთავრებულთა სტაჟირებაც იქნას გათვალისწინებული.
ბ) პროგრამის დუალური ან კოოპერაციული სწავლების განხორციელების უფლების მქონე მეწარმე სუბიექტების შერჩევას, პროგრამის მოთხოვნებისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
ბ.ა) მეწარმე სუბიექტის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესაბამისობის განსაზღვრას კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შედარების გზით (განათლება, სამუშაო გამოცდილება, სერტიფიკატები და სხვ.)
ბ.ბ) მეწარმე სუბიექტის მატერიალური რესურსის შესაბამისობის დადგენას კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ვიზუალური დათვალიერების გზით.
ბ.გ) შერჩევისას შესაძლებელია დაწესებულების მიერ დადგენილ იქნას დამატებითი კრიტერიუმები მეწარმე სუბიექტისათვის;
გ) შერჩეულ მეწარმე სუბიექტის პროგრამის შემუშავებაში ჩართულობის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაცნობა (ონლაინ ან პირისპირ კომუნიკაციის გზით);
დ) მემორანდუმის გაფორმება, რომლის მიხედვითაც მეწარმე სუბიექტი ადასტურებს, რომ აცნობიერებს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას, საკუთარი პასუხისმგებლობის ხარისხს, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებელი და გამოხატავს მოტივაციას პროგრამის წარმატებით განხორციელებაში მონაწილეობისთვის;
ე) იმ შემთხვევაში, თუ მოდულით გათვალისწინებული რომელიმე სწავლის შედეგის მიღწევა ვერ ხერხდება იმიტირებულ სასწავლო გარემოში დაწესებულებასა და მეწარმე სუბიექტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც მითითებულია კონკრეტული სწავლის შედეგი.
ვ) მეწარმე სუბიექტთან გაფორმებული მემორანდუმი/ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:
ვ.ა) კოლეჯისა და მეწარმე სუბიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
ვ.ბ) პროგრამის სახელწოდებას, რომლის ფარგლებში ხორციელდება თანამშრომლობა;
ვ.გ) კოლეჯისა და მეწარმე სუბიექტის იურიდიულ მისამართებს;
ვ.დ) მეწარმე სუბიექტის პრაქტიკის ობიექტზე პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს;
ვ.ე) მეწარმე სუბიექტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობას; ზ.ვ) მეწარმე სუბიექტის ვალდებულებებს პრაქტიკის პერიოდში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ;
ვ.ზ) მემორანდუმის/ხელშეკრულების მოქმედების ვადას, რომელიც არ უნდა იყოს პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები; ზ.თ) მემორანდუმის/ ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს;
ვ.ი) მეწარმე სუბიექტის/ კოლეჯის სხვა უფლებებს, ვალდებულებეს, პასუხისმგებლობებსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხებს."

2.პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ეტაპზე ხორციელდება:
ა) მოდულის „გაცნობითი პრაქტიკის" ფარგლებში სასწავლო ექსკურსიის ორგანიზებისათვის მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი ექსკურიამდე ერთი კვირით ადრე დირექტორის სახელზე წარმოადგენს სამსახურებრივ ბარათს ექსკურსიის ჩატარების კონკრეტული თარიღის შესახებ. სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას, სასწავლო ექსკურსიის განხორციელების თარიღის, მის ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის თაობაზე.
ბ) სწავლის შედეგის მიღწევის ორგანიზებისათვის მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი სწავლის შედეგის მიღწევამდე ერთი კვირით ადრე დირექტორის სახელზე წარმოადგენს სამსახურებრივ ბარათს სწავლის შედეგის მიღწევის კონკრეტული თარიღის შესახებ. სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას, ხელშეკრულების დანართში კონკრეტული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის საწარმოსთან შეთანხმებული განრიგის მითითებით. გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას, სწავლის შედეგის მიღწევის თარიღის, მის ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის თაობაზე.
გ) საწარმოო პრაქტიკის შემთხვევაში სასწავლო პროგრამის მენეჯერი პრაქტიკის დაწყებამდე ერთი თვით ადრე კოლეჯის დირექტორის სახელზე ადგენს სამსახურებრივ ბარათს კონკრეტული ჯგუფის მიერ საწარმოო პრაქტიკის მოდულის დაწყების თარიღის, ხანგრძლივობის, კვირეული დატვირთვის შესახებ. სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას, ხელშეკრულების დანართში კონკრეტული პროფესიული სტუდენტების მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლის საწარმოსთან შეთანხმებული განრიგის მითითებით. გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას საწარმოო პრაქტიკის მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელის (პრაქტიკის ხელმძღვანელი), მის ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის თაობაზე.
გ.ა) იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია პროფესიით, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კოლეჯი უფლებამოსილია პრაქტიკის პერიოდში დასაქმება სტუდენტს ჩაუთვალოს საწარმოო პრაქტიკად.
დ) საწარმოო პრაქტიკის მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურება განხორციელდება საწარმოში. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოო პრაქტიკის მსვლელობისას პროფესიული სტუდენტის მიერ საწარმოში იქმნება პროდუქტი, სწავლის შედეგების დადასტურება შესაძლებელია განხორციელდეს პრეზენტაციის სახით კოლეჯში.
3. პრაქტიკული კომპონენტის ანგარიშგების ეტაპზე ხორციელდება:
ა) საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდეგ საწარმოო პრაქტიკის მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი (პრაქტიკის ხელმძღვანელი) სამსახურებრივი ბარათით კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ანგარიშს საწარმოო პრაქტიკის მსვლელობისა და მიღებული შედეგების შესახებ.

მუხლი 16. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციელის საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება შესაძლებელია დადგეს თუ:

ა) სსსმ ან/და შშმ პირი ვერ ადასტურებს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს;

ბ) მობილობით გადმოსულ პირს დადასტურებული აქვს განსხვავებული სწავლის შედეგები;

გ) პირს შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;

დ) პირი დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;

ე) განხორციელდა პროგრამის შეცვლა/გაუქმება და საჭიროა პროფესიული სტუდენტებისათვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე;

ვ) არსებობს შესაბამისი ობიექტური გარემოება კონკრეტული ჯგუფის სტუდენტთა საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების მიზნით.

3. იმ შემთხვევაში თუ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ სსსმ ან/და შშმ პირი ვერ ადასტურებს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში შესათანხმებლად;

4. თუ მობილობით გადმოსულ პირს დადასტურებული აქვს განსხვავებული სწავლის შედეგები, დირექტორის მოადგილის სასწავლო დარგში და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული მოდულის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების შესახებ მარეგულირებელი მუხლის პროცედურების დაცვით;

5. იმ შემთხვევაში, თუ პირს შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუსაღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების/მოდულების წინაპირობების დაცვით;

6. თუ პირი დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე ტარდება დამატებითი მეცადინეობები ან/და დირექტორის მოადგილის სასწავლო დარგში მიერ პროფესიულ მასწავლებელთან ერთად სტუდენტისათვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მოდულების თემატიკის შედეგების დაძლევის და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

7. პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, როდესაც საჭიროა პროფესიული სტუდენტებისათვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია პროფესიული სტუდენტის მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებისა და შესაბამისი კრედიტების მინიჭების მიზნით.

8. თუ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება დადგა ობიექტური გარემოებების არსებობიდან გამომდინარე, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას კონკრეტული ჯგუფის პროფესიული სტუდენტებისათვის და განსახილველად წარუდგენს დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში.

9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება სამიზნე სტუდენტის/სტუდენტების ჩართულობით და მათი იმ კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც ლეგიტიმურია სასწავლო მიზნების მიღწევისათვის.

10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დირექტორის მოადგილის სასწავლო დარგში შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

მუხლი 17. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

1. კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების ინტეგრირებას, რაც გულისხმობს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.
2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის ინკლუზიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების კოორდინატორის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის და კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

მუხლი 18. (ამოღებულია)
სსიპ კოლეჯის „მერმისი" დირექტორის ბრძანება N04-138 (02/07/2020)

მუხლი 19. (ამოღებულია)
სსიპ კოლეჯის „მერმისი" დირექტორის ბრძანება N04-138 (02/07/2020)

მუხლი 20. (ამოღებულია)
სსიპ კოლეჯის „მერმისი" დირექტორის ბრძანება N04-138 (02/07/2020)

მუხლი. 21 პროფესიული სტუდენტის გაცდენების კოლეჯის მიერ საპატიოდ ჩათვლა
1.პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ი", „კ" და ,,მ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნის კონკრეტული პროფესიული სტუდენტის მიმართ გაუვრცელებლობისა და გაცდენების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე.

2. პროფესიულ სტუდენტს გაცდენა ჩაეთვლება საპატიოდ, თუ გაცდენის მიზეზს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის:
ა) საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო და სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა, მოკლევადიანი ვიზიტით გამგზავრება საზღვარგარეთ სასწავლო საგანმანათლებლო მიზნებისთვის (მაგ. მონაწილეობა ტრენინგებში, კონფერენციებში და ა.შ.).
ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობა;
გ) ოჯახური პირობები (შესაბამისი დამადასტურებელი გარემოებებისა ან/და დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში).
დ) სხვა საპატიო მიზეზი (მისგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოება).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას პროფესიულმა სტუდენტმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, ხოლო „გ" და ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით პროფესიული სტუდენტის გაცდენების საპატიოდ ჩათვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობით მიმართვაში აღნიშნული გარემოებების შეფასების საფუძველზე.

4.დაინტერესებულმა პირმა განცხადება გაცდენების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე უნდა წარადგინოს იმ მომენტიდან, როცა მისთვის ცნობილი გახდა მოსალოდნელი გაცდენების შესახებ. გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც გარემოება სტუდენტზე/კანონიერ წარმომადგენელზე დამოკიდებული არ არის, მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ გარემოებათა **აღმოფხვრიდან არა უგვიანეს 15 დღისა.**

5. პროფესიული სტუდენტის გაცდენების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.